ოქმი:**ო08. 3723347001**
თარიღი:**13/12/2023**

ოქმი № 18

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა,

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

2023 წელი, 12 დეკემბერი
ქ.ოზურგეთი
13.00 -13.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი

კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, თ. ტუღუში, გ. კილაძე, ბ. კილაძე, ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი, ლ. კილაძე, ნ. ურუშაძე, გ. შილაკაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების სამოქმედო მუნიციპალური გეგმის“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თეიმურაზ ქინქლაძე

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თ. ბაქანიძე

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების სამოქმედო მუნიციპალური გეგმის პროექტზე, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ თ. ქინქლაძეს. თანამომხსენებელმა კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო სამოქმედო გეგმის 12 ძირითადი შემადგენელი ნაწილი, ისაუბრა ნარჩენების მართვაში მიღწეულ შედეგებზე, არსებულ სიახლეებზე და მომავალ წელს განსახორციელებელ სიახლეებზეც. აღნიშნა, რომ უკვე მუნიციპალიტეტის ცენტრალურ უბნებში განთავსებულია ურნები, რომლებშიც ხდება პლასტიკატის ნარჩენების შეგროვება

და შემდეგში მათი დაწნეხვა. დაინერგა იურიდიული სუბიექტებიდან მომსახურების ანაზღაურების თაობაზე შეტყობინებების დაგზავნის სისტემა და სხვა.

გეგმის გაცნობის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრი გ. შილაკაძე დაინტერესდა, მომავალი წლიდან იგეგმება თუ არა პლასტიკატების ნარჩენების შესაგროვებელი ურნების განთავსების გაფართოება, რაზეც მიიღო დადებითი პასუხი. იყო შეკითხვა, ადმინისტრაციული ერთეულების იმ ტერიტორიიდან ნარჩენების გატანის თაობაზე, სადაც ვერ შედის სპეციალური მანქანა, განუმარტეს, რომ ასეთ შემთხვევაში გამოძახებაზე მიდის მისაბმელიანი ტრაქტორი. დაისვა შეკითხვა ინდივიდუალური მომსახურების თანხის ამოღების თაობაზე, განუმარტეს, რომ აქაც მომავალი წლიდან დაინერგება შეტყობინებების სისტემა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების სამოქმედო მუნიციპალური გეგმის შესახებ განკარგულების პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

თანამომხსენებელმა, თ. ბაქანიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია დღის წესრიგის მე-2 საკითხზე კერძოდ- მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს აღნიშნული საკითხის საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

კომისიის წევრმა გ. შილაკაძემ სხდომის თავმჯდომარეს დ. ჭაკნელიძეს შეახსენა, რომ კვლავ არ მიუღია მდინარე ბჟუჟის ხეობაში ჰესების მშენებლობის თაობაზე მის მიერ რამდენიმე თვის წინ მოთხოვნილი ინფორმაცია, განუმარტეს, რომ ამჟამად მშენებლობა შეჩერებულია და მის განახლებისთანავე მიაწვდიან ინფორმაციას.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ორივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი